ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.782212410**

თარიღი:**04/05/2022**

,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 ნოემბრის Nბ78.78213284 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 ნოემბრის Nბ78.78213284 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1 დაზუსტდეს საბჭოს წევრის **მანანა ჩაგელიშვილის** სამსახურის საშტატო თანამდებობა-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი;
1.2 დაზუსტდეს საბჭოს წევრის **მარიამი გობეჯიშვილის** სამსახურის საშტატო თანამდებობა-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი